

საკითხის სწავლების გეგმა

კლასი: VI

თემა: ათწილადების შეკრება

დრო: სამი გაკვეთილი

მიზანი: მოსწავლეებმა ისწავლონ ათწილადების შეკრების ალგორითმები და გაიწაფონ მათი გამოყენებით საყოფაცხოვრებო ტიპის ამოცანების ამოხსნაში

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები: მოსწავლემ იცის თანრიგის ერთეულები ათწილადებში, ზომის ერთეულების გამოსახვა ათწილადებით (ფული, მასა, სიგრძე), ათწილადის გადაქცევა წილადად ან შერეულ რიცხვად და პირიქით, რიცხვითი გამოსახულების ჩაწერა და მისი მნიშვნელობის გამოთვლა, შეკრების თვისებები.

მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები: მთელი კლასი, მცირე ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური

სასწავლო მასალა და რესურსები: დანართები, დაფა, ცარცი, რვეული, კალამი, ფლიპჩარტი, მარკერები

საკითხის სწავლების ფაზები:

I წინასწარ

აქტივობა №1

აქტივობების მიზანია მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება. მასწავლებელი მოსწავლეების მიერ შესრულებულ საშინაო დავალებას (დანართი №1) ამოწმებს შემოვლით, ხოლო მოსწავლეები ამოწმებენ შესრულებული სამუშაოს ხარისხს მასწავლებლისა და თანატოლების დახმარებით. მასწავლებელი გამოსამახებელი ჩხირების საშუალებით იმახებს მოსწავლეებს. ისინი წერენ ამოხსნას, დანარჩენი მოსწავლეები ადარებენ თავიანთ პასუხებს და „დიახ-არა“ ბარათების გამოყენებით აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას (სწორი პასუხი – „დიახ“, არასწორი პასუხი – „არა“).

მასწავლებელი წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით მოსწავლეებს საშინაო დავალებაზე დაყრდნობით აძლევს დამატებით კითხვებს.

საშინაო დავალების პასუხები და დამატებითი კითხვები:

1.

$$\frac{7}{10} = 0,7 - \text{რას გვიჩვენებს 7-იანი?}$$

$$\frac{3}{100} = 0,03 - \text{რატომ არის მძიმის შემდეგ ორი ციფრი? რატომ არ შეიძლებოდა ასე ჩაწერილიყო - 0,30?}$$

$$2\frac{9}{1000} = 2,009 - \text{რას გვიჩვენებს მძიმის შემდეგ მეორე 0? 9?}$$

2.

$$8,35 = 8,350 = 8,35000 = 8\frac{35}{100} = 8\frac{350}{1000} = \frac{835}{100}$$

რატომ არის ეს რიცხვები ტოლი?

3.

ა) 15 ლარი და 23 თეთრი = 15,23 ლარი; 7 ლარი და 50 თეთრი = 7,5 ლარი; 8 ლარი და 9 თეთრი = 8,09 ლარი; 15 თეთრი = 0,15 ლარი

– ლარის რა ნაწილია თეთრი? რატომ?

ბ) 8მ 35სმ = 8,35 მ – მეტრის რა ნაწილია დეციმეტრი, სანტიმეტრი, მილიმეტრი?

15მ 2სმ 3მმ = 15,023მ; 7მ 5დმ 3მმ = 7,503მ; 5დმ 7სმ 2მმ = 0,572მ; 8დმ 1მმ = 0,801მ – რატომ?

3კმ 256 მ = 3,256კმ – კილომეტრის რა ნაწილია მეტრი?

3კმ 230მ = 3,23კმ – კიდევ როგორ შეიძლება ჩაიწეროს?

17კმ 40მ = 17,04კმ; 25კმ 2მ = 25,002კმ – რატომ?

გ) 7კგ 345გ = 7,345კგ – კილოგრამის რა ნაწილია გრამი?

12კგ 450გ = 12,45კგ – რატომ? კიდევ როგორ შეიძლება ჩაიწეროს?

48კგ50გ = 48,05 კგ; 16კგ7გ = 16,007კგ – რატომ?

4.

17,23 = 17,230 = 17,2300 = 17,23000 – რატომ დაუმატეთ ნულები ბოლოში? 0-ები მბიძის შემდეგ რომ ჩაგვემატებინა, რა შეიცვლებოდა?

5.

ასეული	ათეული	ერთეული	,	მეათედი	მეასედი	მეათასედი
		2	,	2	3	
		5	,	5		
1	2	3	,	0	7	
	2	5	,	1	2	8
		8	,	1	3	
		0	,	0	2	
		1	,	0	1	3

რა ფუნქცია შეასრულა „მბიძემ“? ერთი და იგივე თანრიგები დალაგდა ერთმანეთის ქვევით.

6.

$$\begin{array}{r} 23458 \\ + 1240 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 23458 \\ + 1240 \\ \hline \end{array}$$

შესაძლებელია ასე ჩაწერა?

7.

$1523 + 128 + 77 + 22 = (1523 + 77) + (128 + 22)$

$20564 + 852 + 436 + 148 = (20\ 564 + 436) + (852 + 128)$

რატომ დააჯგუფეთ ასე?

მასწავლებელი იმ მოსწავლეებს, რომლებსაც საშინაო დავალება სწორად ჰქონდათ შესრულებული, სახელმძღვანელოდან აძლევს სავარჯიშოებს დამოუკიდებლად სამუშაოდ (1-2 სავარჯიშო), ხოლო ის მოსწავლეები, რომლებსაც ჰქონდათ შეცდომები, ჯგუფებიან ერთ ან რამდენიმე მაგიდასთან. მასწავლებელი სკაფოლდინგის მეთოდით ასწორებინებს შეცდომებს. შემდეგ მასწავლებელი მიდის დამოუკიდებლად მომუშავე მოსწავლეებთან და კითხვების საშუალებით ამოწმებს მათ მიერ მიღებულ პასუხებს.

II განმავლობაში

აქტივობა №2

აქტივობების მიზანია მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნის კონსტრუირება.
 მასწავლებელი კლასს აცნობს ამოცანის პირობას:

ანის 18 ლარი და 25 თეთრი აქვს, გიორგის – 40 ლარი და 38 თეთრი. ორივეს ერთად რამდენი ლარი ექნება?

მასწავლებელი მაგიდაზე ცალ-ცალკე ალაგებს დანართიდან №2 ამოჭრილ კუპიურებსა და მონეტებს, სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, მათი გამოყენებით იპოვოს ამოცანის პასუხი და გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი (18 ლ 25 თ + 40 ლ 38თ = 58 ლ 63თ).

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, მითითებული თანხები გამოსახოს ლარებში (18 ლ 25 თ = 18,25 ლ, 40 ლ 38 თ = 40,38 ლ, 58 ლ 63 თ = 58,63 ლ), მიღებული ათწილადები ჩაწეროს მის მიერ დაფაზე გაკრულ „ათწილადების ტაბლოში“ და ისე შეკრიბოს.

	ათეული	ერთეული	,	მეათედი	მეასედი
+	1	8	,	2	5
	4	0	,	3	8
ჯამი	5	8	,	6	3

სანამ მოსწავლეები ათწილადებს შეკრებას დაიწყებენ, მასწავლებელი ეკითხება მათ ნატურალური რიცხვების ქვეშ მიწერით შეკრების ალგორითმს, შემდეგ ავლებს პარალელს ნატურალური რიცხვების შეკრებასა და ათწილადების შეკრებას შორის.

$18,25 + 40,38 = 58,63$

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: „როგორ მივიღეთ 3 მეასედი? 6 მეათედი? 8 ერთეული? 5 ათეული?“

შენიშვნა: ტაბლოში მძიმე ყველგან წინასწარ უნდა იყოს დაწერილი. შესაძლებელია, ფორმატის ქაღალდზე დამზადდეს ერთი დიდი ტაბლო, ხოლო ციფრები ფერად წებოვან ქაღალდებზე იყოს დაწერილი, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მათი შესაბამის ადგილზე მიკვრა. ამავე მიზნით შეიძლება მაგნიტური დაფისა და ციფრების გამოყენება.

ტაბლოს ნიმუში:

	ასეული	ათეული	ერთეული	,	მეათედი	მეასედი	მეათასედი
				,			
				,			
ჯამი				,			

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ახალ ამოცანას:

ერთ ყუთში 18,45 კგ შოკოლადია, მეორეში – 23, 37 კგ. რამდენი კილოგრამი შოკოლადია ორივეში?

დაფასთან გამოსულმა მოსწავლემ ეს სიდიდეები უნდა ჩაწეროს „ათწილადების ტაბლოში“ და შეკრიბოს, თან ხმამაღლა იმსჯელოს. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით აყალიბებენ ათწილადების შეკრების წესს.

მასწავლებელი იყენებს განმავითარებელი შეფასების რომელიმე ადვილ ხერხს და ამოწმებს მოსწავლეთა მიერ საკითხის ათვისებას; საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებს უსვამს დამაზუსტებელ შეკითხვებს და აწვდის კონსტრუქციულ უკუკავშირს; ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა გამოვლენილი საჭიროებანი და შესაფერისი რეაგირება მოახდინოს მათზე სწავლებაში ცვლილებების შეტანის გზით.

აქტივობა №3

მასწავლებელი დაფაზე წერს მაგალითებს:

$$0,3 + 0,5;$$

$$0,15 + 0,39;$$

$$211,316 + 3,209;$$

$$17,23 + 1,5;$$

125,21 + 5,123.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს „ათწილადების ტაბლოს“ და 5 წუთს აძლევს, რათა მისი გამოყენებით შეკრიბონ მოცემული ათწილადები.

დროის ამოწურვის შემდეგ გამოსაძახებელი ჩხირების გამოყენებით რიგრიგობით იძახებს მოსწავლეებს, ისინი კარნახობენ და მასწავლებელი დაფაზე წერს პასუხებს, ხოლო მოსწავლეები ამოწმებენ თავიანთ შედეგებს, შეცდომებს თუ იპოვიან, ასწორებენ.

აქტივობა №4

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს წყვილებში შესასრულებელ დავალებებს და ინსტრუქციას. წყვილის თითოეულ მოსწავლეს აძლევს სამი სხვადასხვა ფერის ბარათს (დანართი №3), თითოეულზე დაწერილია თითო ათწილადი. ასევე, ურიგებს სამ იმავე ფერის ცარიელ ბარათს. ყოველმა მოსწავლემ თავის მეწყვილესთან ერთად მათთვის მიცემულ ერთი ფერის ბარათებზე დაწერილი ათწილადები უნდა შეკრიბონ და პასუხები დიდი ციფრებით დაწერონ იმავე ფერის ცარიელ ბარათზე.

დავალების სწრაფად შემოწმების მიზნით ათწილადები ისეა შერჩეული, რომ ერთნაირი ფერის ბარათებზე პასუხები ერთი და იგივეა. მაგალითად, ყვითელი ფერის ბარათზე ერთ წყვილს თუ აქვს $25,43 + 17,48 = 42,91$, მეორეს აქვს $- 18,61 + 24,3 = 42,91$, მესამეს $- 0,97 + 1,94 = 42,91$ და ა. შ.

სანამ მოსწავლეები დავალებაზე მუშაობენ, მასწავლებელი აკვირდება მათ, განსაკუთრებით – დაბალი მზაობის მოსწავლეებს. საჭიროების შემთხვევაში ეხმარება სასწავლო ხარაჩოებით და აძლევს კონსტრუქციულ უკუკავშირს.

მოსწავლეებს, ვინც დროზე ადრე ამთავრებენ სამუშაოს და შეცდომა არ აქვთ, მასწავლებელი აძლევს მათ დამატებით დავალებას - მოიფიქრონ ისეთი ამოცანა, რომელიც ათწილადების შეკრებით ამოიხსნება და ამოხსნან იგი.

მასწავლებელი აგროვებს დამატებით დავალებებს და მიაქვს შესამოწმებლად.

აქტივობა №5

მასწავლებელი დაფაზე წერს სავარჯიშოებს

ა) $0,4 + 0,7 + 0,9 + 0,6 + 0,1 + 0,2 + 0,3$

ბ) $1,25 + 0,2 + 0,5 + 0,75 + 2,8$

და სთხოვს მოსწავლეებს, იოლი ხერხით შეკრიბონ მოცემული ათწილადები.

მოცემულ გამოსახულებებზე მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად, როდესაც დაასრულებენ მუშაობას, მასწავლებელი შუქნიშნის ბარათებით ამოწმებინებს ნამუშევარებს. მოსწავლეები მსჯელობენ, რა იოლი ხერხი გამოიყენებს ათწილადების შეკრებისას.

III შემდეგ

აქტივობა №6

აქტივობების მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის განმტკიცება და მისი გამოყენება საყოფაცხოვრებო ტიპის ამოცანებში.

მასწავლებელი კლასს აცნობს დავალების შინაარსს:

კლასმა, რომელშიც 16 ბიჭი და 12 გოგონაა, 2 მშობლის, კლასის ხელმძღვანელის, სპორტის მასწავლებლისა და სკოლის ექიმის თანხლებით გადაწყვიტა ლაშქრობაზე წასვლა 2 დღით. თქვენ გევალებათ ლაშქრობის ორგანიზება.

მასწავლებელი კლასს ყოფს 4 ჯგუფად ინტერესის მიხედვით: გურმანები, ექიმები, ტურისტები და მენეჯერები. ჯგუფებში მოსწავლეები სურვილის მიხედვით ერთიანდებიან. მაგიდეებზე არის წარწერები - „გურმანები“, „ექიმები“, „ტურისტები“ და „მენეჯერები“. მოსწავლეები სხდებიან თავიანთი ინტერესის სფეროს შესაბამის მერხებთან.

მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს აძლევს შესაბამის ინსტრუქციას. დროის ეფექტიანად გამოყენების მიზნით ჯგუფის წევრებს შეუძლიათ, გადაინაწილონ გამოთვლითი სამუშაოები და ნაწილ-ნაწილ შეკრიბონ ათწილადები.

დავალებები:

გურმანების ჯგუფი – ჯგუფმა მენიუში მითითებული კერძებიდან უნდა შეარჩიოს საგზალი ვეგეტარიანელი და არავეგეტარიანელი წევრების გათვალისწინებით (მასწავლებელი უხსნის სიტყვა ვეგეტარიანელის მნიშვნელობას) და იანგარიშოს მისი ღირებულება. ბავშვებმა კერძები უნდა შეარჩიონ ლაშქრობისთვის რეკომენდებული კერძების ნუსხიდან (დანართი №4).

ექიმების ჯგუფი – მასწავლებელი უხსნის ჯგუფს, რომ საჭიროა მედიკამენტებისა და პირველადი დახმარების საგნების წაღება და აძლევს მათ ჩამონათვალს. ჯგუფს ევალება შეარჩიოს მედიკამენტები და პირველადი დახმარების საგნები და იანგარიშოს საერთო ღირებულება მითითებული ფასების მიხედვით (ფასებთან ერთად მითითებულია წამლის დანიშნულებაც, მაგ. ტკივილგამაყუჩებელი, სიცხის დამწვევი და ა.შ.) (დანართი №5).

ტურისტების ჯგუფი – მასწავლებელი ჯგუფს აძლევს ღირსშესანიშნავი ადგილების ჩამონათვალს მანძილების მითითებით და თითოეულ მარშრუტზე ფასიანი მომსახურების ტარიფებს (მაგ. მუზეუმში, ბოტანიკურ ბაღში შესასვლელი ბილეთის ღირებულება). მოსწავლეებს ევალებათ აირჩიონ მარშრუტი, გამოთვალონ მისი სიგრძე და ბილეთების დანახარჯი ერთი ტურისტისთვის (შესაძლებელია, რამდენიმე ვარიანტიც წარმოადგინონ ასარჩევად) (დანართი №6).

მენეჯერების ჯგუფი – მასწავლებელი ჯგუფს აძლევს ლაშქრობისთვის საჭირო საგნების ჩამონათვალს ღირებულების მითითებით. ჯგუფს ევალება აღჭურვოს

ტურისტები საჭირო რაოდენობის ინვენტარით და დაიანგარიშოს ხარჯი. ჯგუფის ერთმა ნაწილმა უნდა შეარჩიოს სავალდებულო საგნები ერთი მოლაშქრისთვის, ხოლო მეორე ნაწილმა - მთელი ჯგუფისთვის. მათ ევალებათ ამოწერონ ფასები და შეკრიბონ მოხერხებული გზით (დანართი №7).

მასწავლებელი მოსწავლეებს სამუშაოდ აძლევს 20 წუთს, რის შემდეგაც ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციებს.

თითოეული ჯგუფიდან ჯგუფის მიერ შერჩეული მოსწავლე აკეთებს პრეზენტაციას. ჯგუფის დანარჩენი წევრები ყურადღებით უსმენენ თავიანთ წარმომადგენელს და საჭიროების შემთხვევაში ერთვებიან პროცესში.

სხვა ჯგუფების წევრებს ევალებათ ყურადღებით მოუსმინონ პრეზენტატორს, დაუსვან შეკითხვები, ჩაინიშნონ მონაცემები, საჭიროების შემთხვევაში გამოთქვან აზრი, იმსჯელონ შერჩეული ვარიანტების ირგვლივ.

ბოლოს, მასწავლებელი საერთო ხარჯის დასათვლელად სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს, დაფასთან შეკრიბოს ჯგუფების მიერ მიღებული დანახარჯები. დანარჩენი მოსწავლეები ყურადღებით აკვირდებიან და თვითონაც ანგარიშობენ რვეულებში.

მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და გამოკვეთს ათწილადების შეკრების ძირითად მახასიათებლებს.

მითითება: მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას: მოიფიქრონ ამოცანა, რომლის ამოსახსნელად საჭიროა ათწილადების შეკრება და ამოხსნან ის.

გაკვეთილის დასრულებამდე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეავსონ შემაჯამებელი/გასასვლელი ბარათები (დანართი №8). მოსწავლეები ავსებენ ბარათებს და აბარებენ მასწავლებელს.

დანართი 1

საშინაო დავალება

1. ჩაწერე წილადები ათწილადის სახით: $\frac{7}{10}$, $\frac{3}{100}$, $2\frac{9}{1000}$,

2. ამოწერე ტოლი რიცხვები:

8,35	83,5	8,350	8,53	8,35000	$8\frac{35}{1000}$	$8\frac{35}{100}$	$8\frac{350}{1000}$	$\frac{835}{100}$
------	------	-------	------	---------	--------------------	-------------------	---------------------	-------------------

3. გამოსახე ათწილადებით:

ა) ლარებში – 15 ლარი და 23 თეთრი; 7 ლარი და 50 თეთრი, 8 ლარი და 9 თეთრი; 15 თეთრი;

ბ) მეტრებში – 8 მ და 35 სმ; 15 მ, 2 სმ და 3 მმ; 7 მ, 5 დმ და 3 მმ; 5 დმ, 7 სმ და 2 მმ; 8 დმ და 1 მმ;

კილომეტრებში – 3 კმ და 256 მ; 3 კმ და 230 მ; 17 კმ და 40 მ; 25 კმ და 2 მ;

გ) კილოგრამებში – 7კგ და 345 გ; 12 კგ და 450 გ; 48 კგ და 50 გ; 16 კგ და 7 გ.

4. ჩაწერე 17,23-ის ტოლი სამი ათწილადი.

5. ჩაწერეთ ათწილადები „ათწილადების ტაბლოში“.

„?“ ნიშნები შეცვალეთ თანრიგების სახელებით.

2,23; 5,5; 123,07; 25,128; რვა მთელი 13 მეასედი; ნული მთელი 2 მეასედი; 1 მთელი 13 მეათასედი

?	?	?	,	?	?	?
			,			
			,			
			,			

6. შეკრიბეთ ქვეშ მიწერით:

$23458 + 1240$; $49568702 + 142536$; $4562135 + 20045$.

7. შეკრიბეთ იოლი ხერხით:

ა) $1\ 523 + 128 + 77 + 22$;

ბ) $20\ 564 + 852 + 436 + 148$.

დანართი 2

ფულის ნიშნები



დანართი 3

ბარათები წყვილებში სამუშაოდ

ყვეთელი ბარათები – პასუხი: 42,91

წყვილი 1	25,43	17,48
წყვილი 2	40,97	1,94
წყვილი 3	35,6	7,31
...	29,16	13,75
...	18,61	24,3

...	18,49	24,42
...	26,17	16,74
...	15,99	26,92
...	24,12	18,79
...	29,11	13,8
...	6,08	36,83

...	12,02	30,89
...	11,03	31,88
...	10,11	32,8
...	28,05	14,86

ცისფერი ბარათები – პასუხი: 16,45 კგ

წყვილი 1	8,3 კგ	8,15 კგ
წყვილი 2	5,125 კგ	11,325 კგ
წყვილი 3	6,186 კგ	10,264 კგ
...	10,251 კგ	6,199 კგ
...	7,203 კგ	9,247 კგ
...	4,105 კგ	12,345 კგ

...	7,36 38	9,09 38
...	9,2 38	7,25 38
...	6,855 38	9,595 38
...	10,231 38	6,219 38
...	9,123 38	7,327 38
...	5,26 38	11,19 38

...	8,965 38	7,485 38
...	7,15 38	9,3 38
...	9,63 38	6,82 38
	6,98 38	9,47 38

ვარდისფერი ბარათები – პასუხი: 63,528

წყვილი 1	25,146	38,382
წყვილი 2	40,978	22,55
წყვილი 3	35,75	27,778
...	29,48	34,048
...	18,619	44,909
...	18,791	44,737

...	26,02	37,508
...	57,96	5,568
...	45,999	17,529
...	24,56	38,968
...	29,118	34,41
...	6,084	57,444

...	12,028	30,89
...	11,035	52,493
...	10,11	53,418
	28,056	35,472

დანართი 4

დავალეზა გურმანებისთვის

№	დასახელება	ფასი	რაოდენობა
1	ხაჭაპური	3,75 ლ	
2	ხორციანი ღვეზელი	1,2 ლ	
3	კარტოფილიანი ღვეზელი	1,05 ლ	
4	კრემიანი ღვეზელი	1,45 ლ	
5	სოკოიანი ღვეზელი	1,35 ლ	
6	ვაშლის ღვეზელი	0,75 ლ	
7	შებოლილი სულუგუნი - 300 გ	5,36 ლ	
8	მეგრული სულუგუნი - 300 გ	4,92 ლ	
9	თაფლაკვერი	2,47 ლ	
10	ქადა	0,8 ლ	
11	ღვეზელი კომბოსტოს ფარშით	1,12 ლ	
12	კარტოფილის ფრი	4,65 ლ	
13	ვაშლი - 1კგ	2,5 ლ	
14	ბანანი - 1ცალი	1,2 ლ	
15	„სნიკერსი“	1,2 ლ	
16	„ბარამბოს“ ხილის კანფეტები	9,68 ლ	
17	მჭადი	1,25 ლ	
18	პური	0,75 ლ	
19	„ფანტა“	1,35 ლ	
20	„სპრაიტი“	1,35 ლ	
21	„კოკა-კოლა“	1,35 ლ	
22	„ნაბელლავი“	1,2 ლ	
23	„სნო“ - 0,5 ლ	0,8 ლ	
	„სნო“ – 2 ლ	1.6 ლ	

დანართი 5

დავალება ექიმებისთვის

№	დასახელება	ფასი	რაოდენობა
1	ტკვილგამაყუჩებელი - „ანალგინი“	1,35 ლ	
2	ტკვილგამაყუჩებელი - „ციტრამონი“	0,45 ლ	
3	სიცხის დამწვევი - „პარაცეტამოლი“	2,12 ლ	
4	სპაზმების - „ნო-შპა“	5,28 ლ	
5	ალერგიის - „სუპრასტინი“	4,75 ლ	
6	ტკვილგამაყუჩებელი - „ნუროფენი“	3,4 ლ	
7	პირღებინების საწინააღმდეგო - „ცერუკალი“	0,95 ლ	
8	ფაღარათის საწინააღმდეგო - „იმოდიუმი“	2,89 ლ	
9	ბინტი	0,56 ლ	
10	იოდი	1,2 ლ	
11	სამედიცინო სპირტი	0,8 ლ	
12	ბამბა	0,6 ლ	
13	„სანტავიკი“	1,48 ლ	
14	„ბრილიანტის მწვანე“	0,76 ლ	

დანართი 6

დავალება ტურისტებისთვის

შენიშვნა: მარშრუტი შეიძლება მასწავლებელმა შეცვალოს რეგიონის მიხედვით.

მარშრუტები:

ზუგდიდი - რუხი - ანაკლია (რუხის ციხე, ანაკლიის ციხე)

ზუგდიდი - რუხი – 7,325კმ

რუხი - ანაკლია – 25, 36 კმ

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი – შესვლა 1,5 ლ

ზუგდიდის ეთნოგრაფიული მუზეუმი – შესვლა 3,8ლ

ზუგდიდი - ხობი - პაპანწყვილი (ხობის მონასტერი; პაპანწყვილის ტბა)

ზუგდიდი - ხობი – 18,25 კმ

ხობი - პაპანწყვილი – 8,653კმ

ზუგდიდი - ჯიხაშკარი - ჭაქვინჯი (ჯიხაშკარისა და ჭაქვინჯის ისტორიული ციხესიმაგრეები)

ზუგდიდი - ჯიხაშკარი – 12,65კმ

ჯიხაშკარი - ჭაქვინჯი – 5,67კმ

დანართი 7

დავალება მენეჯერებისთვის

№	დასახელება	ფასი	რაოდენობა
1	ორადგილიანი კარავი	80,75 ლ	
2	პირსახოცი	4,25 ლ	
3	თხევადი საპონი	1,72 ლ	
4	სველი ხელსახოცი	0,95 ლ	
5	ხელსახოცი	1,26 ლ	
6	თერმოსი	8,27 ლ	
7	ერთჯერადი ჭიქები - 100 ც	2,35 ლ	
8	ერთჯერადი თეფშები - 100 ც	1,98 ლ	
9	ერთჯერადი დანა-ჩანგალი - 100-100 ც	2,16 ლ	
10	ფანარი	5,6 ლ	
11	ცელოფანი სუფრის გასაშლელად	3,64 ლ	
12	ასანთი	0,5 ლ	
13	ბურთი	17,25 ლ	
14	ბადმინტონის კომპლექტი	1,2 ლ	
15	გიტარა	275,5 ლ	
16	ტომარა ნარჩენებისთვის	1,45 ლ	
17	საძილე ტომარა	25,48 ლ	

დანართი 8

შემაჯამებელი /გასასვლელი ბარათები

გასასვლელი ბარათი - წრიული ფორმის ბარათები, რომლის ერთ მხარეს იწერება მოსწავლის სახელი და გვარი და 2 დავალება იმის გასარკვევად, გაიგო თუ არა მან მასალა. მეორე ბარათზე გამოსახულია „ღიმილაკი“, რომელსაც მოსწავლეები მხოლოდ პირის ფორმას უხატავენ მიცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

სახელი, გვარი: _____

1. გამოთვალე: $7,2 + 5,9 =$ _____

$12,3 + 5,6 =$ _____

$18,369 + 5,1 =$ _____

2. ტურისტმა პირველ დღეს გაიარა 15,25 კმ, მეორე დღეს – 7,3 კმ-ით მეტი.

რამდენი კილომეტრი გაიარა ტურისტმა მეორე დღეს? _____

ორივე დღეს ერთად? _____



- ძალიან მომეწონა, ყველაფერი გავიგე



- მომეწონა, მაგრამ ყველაფერი ვერ გავიგე



- ცოტა რამ გავიგე